პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 ნოემბერი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 218 (9629) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ეს პატარები წყნეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები არიან. რას უცქერენ ნორჩები ასე ყურადღებით? ეს მათი თანატოლი ვარჯიშობს ტანვარჯიშის დარბაზში. მათთვის კვლავ განახლდა მეცადინეობები... (იხ. მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვლავ წინაპართა ნაკვალევზე

**როგორც** ვიუწყებოდით, 18 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ტრადიციული ალპინიადის მონაწილეებმა მყინვარზე ბეთლემის ახლოს გამოქვაბული აღმოაჩინეს. ამან, ცხადია, დიდი ინტერესი გამოწვია. გუშინ უნივერსიტეტის ეზოდან მყინვარის მიმართულებით კვლავ დაიძრა ჯგუფი (ამჯერად 14-კაციანი), რომელსაც ხელმძღვანელობს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი შოთა მირიანაშვილი. ჯგუფში ძირითადად უნივერსიტეტის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წევრები არიან გაერთიანებული. ექსპედიციაში მონაწილეობენ აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტის, ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური სამმართველოს, სამხატვრო აკადემიის, შ. რუსთაველის სახელობის ქართული



ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის წარმომადგენლები. ჯგუფში არიან აგრეთვე საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანეს" კინოოპერატორი გიორგი ხაინდრავა და გაზეთ „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი ავთანდილ გურასაშვილი.

— ბეთლემის მღვიმის შესასწავლად დღემდე მოწყობილი ოთხი ექსპედიციიდან ორი ილია ჭავჭავაძის იუბილეს მიეძღვნა. დღევანდელ ექსპედიციას კვლავ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის დაბადების 150 წლისთავს ვუძღვნით, — გვითხრა უნივერსიტეტის ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარემ, დოცენტმა პარმენ მარგველაშვილმა.

— ახლახან ნაპოვნმა გამოქვაბულმა იმედი ჩაგვისახა, რომ კიდევ შეიძლება იყოს მსგავსი მღვიმეები. მოგეხსენებათ, ბეთლემის შემოგარენი X-XI საუკუნეებში ადამიანთა სადგომი იყო. ჩვენ ძირითადად დაზვერვითი მიზნები გვაქვს. თუ ბედმა გაგვიღიმა, შეიძლება კვალი კიდევ აღმოვაჩინოთ, თუმცა ჯერჯერობით ეს მხოლოდ ჩვენი სურვილია. მთავარია, ამინდმა შეგვიწყოს ხელი. ექსპედიცია სამ-ოთხ დღეს გაგრძელდება.

წარმატებას ვუსურვებთ ექსპედიციის მონაწილეებს.

**ჯემალ კასრაძის** ტექსტი და ფოტო.

## წარმოგიდგენთ კანდიდატებს

**წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი**

## ღირსეული ჩემპიონი

**ლერი** ხაბელოვი თავისუფალ ჭიდაობაში აბსოლუტური ჩემპიონი ერთხელ უკვე იყო. დიახ, აბსოლუტური ჩემპიონი. სხვა რა დავარქვათ სპორტსმენს, რომელიც ერთ სეზონში ყველა უმაღლეს ტიტულს ფლობდა. 1985 წელს ლერიმ ზედიზედ თბილისის საერთაშორისო ტურნირი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, ევროპის პირველობა და მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. ასეთი წარმატება იშვიათია. არადა, სპორტულმა სამყარომ ხაბელოვის გვარი ის-ის იყო გაიგო.

მას შემდეგ ლერი, როგორც მოჭიდავე და მებრძოლი, გაიზარდა, ჩამოყალიბდა და მის სპორტულ ბიოგრაფიაშიც ახალი ფურცელი გადაიშალა. ახალგაზრდული აზარტი და ჟინი საქმისადმი გონივრულმა მიდგომამ შეცვალა. გამოუცდელ სპორტსმენს ნებისმიერ რისკს ადვილად აპატიებენ. აი, მსოფლიო ჩემპიონი კი ვალდებულია თავის სახელს გაუფრთხილდეს, ლერიმ ეს სიბრძნე შეითვისა, ამიტომაც ვფიქრობთ, სულ სხვა ყაიდის მოჭიდავედ წარმოგვიდგა.

ეს ერთი შეხედვით, თორემ სინამდვილეში ისევ ის ძველი ლერი ხაბელოვია, ვისთვისაც რაციონალიზმი და ზედმეტი სიფრთხილე მუდამ უცხო იყო. ასეთი რომ არ ყოფილიყო, თავის წარმატებას ვერც გაიმეორებდა.



იხ. მე-2 გვ.

**სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 47-ე ჩემპიონატი**

## იოსელიანმა დაიბრუნა ლიდერობა

**IX ტურის** შემდეგ ნანა იოსელიანმა დაიბრუნა ლიდერობა! როგორც გახსოვთ, სტარტზე მოპოვებული სამი გამარჯვების შემდეგ ნანა ერთგვარად ჩრდილში მოექცა — აღფორიაქა გულშემატკივრები. მაგრამ საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა გააუმჯობესა თამაში და ზედიზედ ორი პარტიის მოგების შედეგად კვლავ სათავეში მოექცა სატურნირო ცხრილს. IX ტურში იოსელიანი ციალა ქასოშვილს ხვდებოდა. მიტელშპილში ნანამ ლაზიერის ფრთაზე პაიკი მოიგო, ხოლო შემდეგ ეტლი დათმო ორ კუში და აქტიური პოზიცია მიიღო. ქასოშვილი ცდილობდა კონტრთამაშის შექმნას, მაგრამ ნანამ ზუსტი თამაშით პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა.

ხოროვეც-გურიელის შეხვედრაში ძველინდური დაცვა გათამაშდა. როცა ცაიტნოტი მოახლოვდა, დაფაზე რთული პოზიცია იყო. ენდშპილში თითქოს გამოიკვეთა ქართველი დიდოსტატის უპირატესობა, მაგრამ ეტყობა ის არ იყო საკმარისი და მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ქეთევან არახამია თეთრებით საერთაშორისო ოსტატ ლარისა პოლნარიოვას ხვდებოდა. გრიუნფელდის დაცვაში ქეთინომ თავიდანვე აქტიური პოზიცია მიიღო. მართალია, დაფაზე სხვადასხვა ფერის კუ დარჩა, მაგრამ არახამიას პაიკმა მეშვიდე ხაზს მიაღწია და ახალგაზრდა დიდოსტატმა ზუსტი, ძლიერი სვლებით გამარჯვება მოიპოვა.

ელენა ახმილოვსკაია უფეროლად ატარებს ბოლო ორი ტურის შეხვედრებს. მან ეიდელსონთან შეხვედრაშიც ხარისხი დაკარგა და იძულებული გახდა დანებებოდა მეტოქეს.

მეორე მარცხი იწვნია ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა, 15 წლის ალისა გალიამოვამ. ამჯერად მას დიდოსტატმა ლიუდმილა ზაიცევამ სძლია.

ამრიგად, 9 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ნანა იოსელიანი — 6,5 ქულა, ნინო გურიელი, რაისა ეიდელსონი, მარტა ლიტინსკაია — 6-6.

**თამარ ხუგაშვილი,**
**საერთაშორისო ოსტატი.**

**გუშინ**

**გთავაზობთ X ტურის იმ პარტიების ტექნიკურ შედეგებს, რომლებიც გაზეთის დასაბეჭდად გაშვებამდე დამთავრდა: იოსელიანი — ველიხანლი — 1:0, ახმილოვსკაია — ხოროვეცი — 1:0, სემიონოვა — ეიდელსონი — 0:1, სოფიევა — ლიტინსკაია — 0:1, პოლნარიოვა — მატვეევა — 0:1, ზაიცევა — არახამია — 0,5:0,5, გალიამოვა — ჩელუშკინა — 1:0.**

**გ. კასპაროვ—ა. კარპოვის მატჩი**

## მეთერთმეტე პარტია

**როგორც** იცით, მატჩის მე-11 პარტია ისეთ პოზიციაში იყო გადადებული, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონს დიდი უპირატესობა ჰქონდა. ბევრი ექსპერტი ვარაუდობდა, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონი არ განაახლებდა თამაშს, მაგრამ ასე არ მოხდა. ანატოლი კარპოვს სურდა გაეთანაბრებინა პოზიცია, გარი კასპაროვი კი სხვაგვარად ფიქრობდა. მისთვის ძნელი აღარ იყო ამ პარტიის მოგება და რამდენიმე სვლის შემდეგ აიძულა მეტოქე დანებებოდა.

აი, როგორ პოზიციაში იყო გადადებული პარტია: **თეთრები** (კარპოვი) — მფe2 კc5 მf1, პ. a2, d5, e4, g2, g5, h4; **შავები** (კასპაროვი) — მფg7, ეd7, მa5, პ. a7, b5, e5, g6, h7. თამაში ასე გაგრძელდა: 41. ...ეc7 (ჩაწერილი სვლა) 42. კd6 ეc2+ 43. მფd3 ე:a2 44. მe3 მფf7 45. მg4 მc4 46. მ:e5+ მ:e5 47. კ:e5 b4 48. კf6 b3 49. e5 ე:g2 50. e6+ მფf8.

ამ პოზიციაში თეთრები დანებდნენ.

**„სოვეტსკი სპორტი"**

## „ვერდერთან"—სერიოზულად

**მაშ ასე,** პირველი წილისყრის ნებით უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალში თბილისის „დინამოს" მეტოქე იქნება გუნდი, რომელმაც დაჩაგრა მოსკოვის „სპარტაკი" — ბრემენის „ვერდერი". დაგვეთანხმებით, რომ ეს საკმაოდ სერიოზული საბაბია თბილისელთა უფროს მწვრთნელ გერმან ზონინთან სასაუბროდ. მოვუსმინოთ მას:

— რა თქმა უნდა, უეფა-ს თასის მერვედფინალში სავარაუდო მოწინააღმდეგეთა შორის „ვერდერზე" სუსტი გუნდებიც იყვნენ, რომლებთანაც თამაში გაცილებით უფრო იოლი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ, მიზეზთა გამო, წილისყრას არ ვემდურით. ხელთა გვაქვს უახლესი ინფორმაციები ამ გუნდის შესახებ, ვიცით მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ეს კი თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს ოპტიმალურად მოვემზადოთ მასთან შესახვედრად. რა თქმა უნდა, ამ ორი უდავოდ რთული შეხვედრის საბოლოო შედეგის წინასწარ განჭვრეტას ვერავინ იკისრებს, პროგნოზები ფეხბურთში ერთობ სათუო საქმეა. მაგრამ მთელი ჩვენი გუნდი ანთებულია სურვილით, როგორმე აღიდგინოს გულშემატკივართა თვალში ჩემპიონატში უფერული გამოსვლით შელახული ავტორიტეტი. მე მჯერა, რომ 25 ნოემბერს ბრემენში, ხოლო ორი კვირის შემდეგ თავიანთ მინდორზე თბილისში, ფეხბურთელები შეეცდებიან ითამაშონ საკუთარი შესაძლებლობებისა და ოსტატობის ზღვარზე.

**⊙ თქვენ ახსენეთ „ვერდერის" თამაშის ძლიერი და სუსტი მხარეები. ხომ ვერ გვეტყოდით ამის შესახებ უფრო დაწვრილებით?**

— რაც შეეხება „ვერდერის", დღეს უდავოდ ძალზე ძლიერი კლუბის, თამაშის სუსტ მხარეებს, მოსკოვში მისმა შეხვედრამ „სპარტაკთან" დაგვანახვა, რომ ჩვენი მომავალი მეტოქეების დაცვა მოკლებული არ არის ხარვეზებს. ოთხი ბურთი — ეს ოთხი ბურთია. მეორე მხრივ, ჩვენ ვნახეთ და სათანადოდაც შევაფასეთ ბრემენის გუნდის წამყვანი ფორვარდის ნოიბერტის და თავდასხმაში მისი პარტნიორების ბრწყინვალე თამაში, რომლებიც მას არაფრით ჩამოუვარდებოდნენ. რაღა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა შევზღუდოთ მათი შესაძლებლობანი. ჩემი აზრით, ეს ძალუძთ ისეთ გამოცდილ ოსტატებს, როგორებიც არიან ჩივაძე და სულაქველიძე, მით უმეტეს, თუ ისინი შეძლებენ აიყოლიონ თავიანთი ნაკლებად გამოცდილი, მაგრამ არანაკლებ ენერგიული პარტნიორები.

**⊙ უკვე ემზადებით „ვერდერთან" შეხვედრისთვის?**

— შეიძლება ითქვას, მზადება უკვე დავიწყეთ, რადგან ჩემპიონატის დარჩენილი თამაშებისთვის ტაქტიკის დაგეგმვისას ჩვენ მომავალ საერთაშორისო შეხვედრებს ვითვალისწინებთ, რომლებიც ბრემენსა და თბილისში უნდა ჩატარდეს. წვრილმანების ჩამოთვლას არ შევუდგები, ვიტყვი მხოლოდ, რომ თითქმის ჩვენი ყველა მოთამაშე ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებში პირდაპირი ამოცანის გარდა საწვრთნელ-სათამაშო ამოცანებს ასრულებს, რომლებსაც უფრო შორი მიზანი აქვს — მატჩი „ვერდერთან". ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ წარმატებას მოგვიტანს მხოლოდ აბსოლუტურად შემოწმებული, უშეცდომო და ენერგიული ურთიერთმოქმედება გუნდის ყველა რგოლში, თავდასხმასა და დაცვაში. ჩვენი მიზანიც ეს არის...

**ვ. ბორისოვი,**
**„სოვეტსკი სპორტი", 11 ნოემბერი.**

## პირველ ლიგაში

**ლვოვში** გრძელდება სსრ კავშირის I ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი. IV ტურში ივანჩუკმა მოუგო ნოვიკოვს, გურევიჩმა — ბარეევს, დაზავდნენ ვიუმანავინი და იუდასინი. სხვა შეხვედრები გადაიდო. თბილისელმა დიდოსტატმა გენადი ზაიჩიკმა არასახარბიელო პოზიციაში გადადო პარტია მიხალჩიშინთან. ახალგაზრდა თბილისელ ოსტატს ლაშა ჯანჯღავას კი კარგი პერსპექტივები აქვს მალიშაუსკასთან შეწყვეტილ პოზიციაში.

I ტურის გადადებული პარტიებიდან მხოლოდ ორი დამთავრდა, სხვა შეხვედრები კვლავ გადაიდო, მათ შორის ზაიჩიკსა და როზენტალის პარტიაც. პანჩენკო-დრეევი — 0,5:0,5, ნოვიკოვ-გავრიკოვი — 0,5:0,5.

# მეცადინეობა განახლდა





მარშრუტი: წყნეთი — თბილისი — წყნეთი.





მკითხველს ალბათ ახსოვს: ჩვენი გაზეთის 25 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით: „რატომ გამოდგა ხანმოკლე ბავშვების სიხარული?“ ვწერდით, რომ 8 თვის წინათ წყნეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები თბილისში განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშულ სპორტულ სკოლაში დაჰყავდათ სამეცადინოდ. შემდეგ სხვადასხვა მიზეზების მოშველიებით მეცადინეობები შეწყდა.

და, აი, გაზეთის კრიტიკულ გამოსვლას შედეგი მოჰყვა: გუშინწინ, წყნეთის ბავშვთა სახლს მიაკითხეს სპორტსკოლის წარმომადგენლებმა, ბავშვებს ავტობუსი მიამაგრა საქართველოს სპორტსახკომმა, საქმეში ჩაერია აგრეთვე კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, გამოუყვეს ავტოინსპექციის მანქანა და ა. შ. იმავე დღეს ნორჩები ისევ ეწვივნენ სპორტსკოლის დარბაზს. მეცადინეობები განახლდა. ვფიქრობთ, ამჯერად დროებით არა.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: თბილისში გამომგზავრების წინ; წყნეთი—თბილისის გზაზე; მეცადინეობის მომენტები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი.

# ღირსეული ჩემპიონი

(დასასრული)

ლერიმ წლევანდელი სპორტული სეზონიც თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებით დაიწყო. ამ გამარჯვებას ახალი მოჰყვა — იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. მერე, ჩვენი ქვეყნის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად ლერიმ კონტინენტის ჩემპიონატიც მოიგო, ბოლოს კი საფრანგეთის ქალაქ კლერმონ-ფერანში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ქვემძიმე წონაში.

საფრანგეთში გამგზავრების წინ ნაკრების რამდენიმე წევრს, ვისი იმედიც ნაკლებად ჰქონდათ, სახელდახელო გამოცდა მოუწყვეს. ლერი კი ამ „დატვირთვისგან“ გაათავისუფლეს. ან კი რა შემოწმება სჭირდებოდა მოჭიდავეს, რომელსაც წლის ყველა, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ტურნირი, მოგებული ჰქონდა და ახლა ბოლო სიმაღლის ხელახლა დასაპყრობად ემზადებოდა.

მსოფლიო ჩემპიონატის პერიპეტიები ყველას კარგად გვახსოვს. ლერიმ ექვსი შეხვედრიდან ოთხი წმინდად მოიგო (ორი — ქულებით) და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონად დაგვიბრუნდა. კენჭისყრა მისთვის არც ისე იღბლიანი გამოდგა და ჩვენი მაშინდელი საუბარი სწორედ ამას შეეხო.

— როგორ შეაფასეს სპეციალისტებმა წილისყრის შედეგები, თქვენი აზრიც გვაინტერესებს.

ლერის ნაცვლად მაშინ ამ კითხვაზე გვიპასუხა საქართველოს სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა ომზარ შოშიტაშვილმა, რომელიც საბჭოთა ნაკრებს კლერმონ ფერანში თან ახლდა.

— როცა მოჭიდავე ოქროს მედლისთვის იბრძვის, მნიშვნელობა არა აქვს როდის შეხვდება მთავარ მეტოქეებს, რადგან ადრე თუ გვიან, ყველას უნდა შეებრძოლოს, ყველას უნდა დაუმტკიცოს თავისი ძალა, ყველა უნდა დაამარცხოს. ასე რომ, ლერის წილისყრის შედეგებისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია.

სათქმელად ადვილია, ყურადღება არ მიუქცევიაო, მაგრამ წარმოიდგინეთ რამდენად უნდა სჯეროდეს ჩემპიონს თავისი ძალის და შესაძლებლობების, რომ მეტოქის ასეთივე კანონიერი სურვილები და პრეტენზიები არაფრად ჩააგდოს? თუმცა ჩემპიონი სწორედ ასე უნდა ფიქრობდეს.

ახალგაზრდებს, რომელთა გზა დიდ სპორტში ახლა იწყება, აინტერესებთ რა თვისებები უნდა ჰქონდეს მსოფლიო ჩემპიონს. ერთმნიშვნელიანი პასუხი ამ შეკითხვაზე, ცხადია, არ არსებობს, ვინაიდან ჩემპიონის სახელს განსხვავებული ხასიათის ადამიანები ისაკუთრებენ. მაგრამ ლერის მაგალითზე შეგვიძლია დავარწმუნოთ, რომ ნამდვილ მოჭიდავეს პირველ რიგში ნიჭი უნდა ჰქონდეს (სხვაგვარად მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვერ გახდება), თან შრომა უყვარდეს და დისციპლინიანი იყოს. ერთი სიტყვით, ისეთი, როგორიც ლერი ხაბელოვია.

ნოდარ ბუზუშვილი.

# ფალავნის ხსოვნის ტურნირზე

თავისუფალი ჭიდაობის მოყვარულებს კარგად ახსოვთ ვლადიმერ რუბაშვილის ზედმიწევნით აზრიანი და გამორჩეული ორთაბრძოლები, მახვილგონივრული ილეთები...

ჩვენგან უდროოდ წასულმა ფალავანმა თავისი ცხოვრების მოკლე პერიოდში ბევრი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და სავსებით გასაგებია საკავშირო სპორტსახკომის გადაწყვეტილება ოლიმპიური თამაშების პრიზიორისა და მსოფლიო ჩემპიონის ვლადიმერ რუბაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი გორში ჩაეტარებინა. აქ ჩვენი ქვეყნის 18 გუნდის 150-მდე მონაწილემ მოიყარა თავი.

ოთხ წონით კატეგორიაში პირველი ადგილები გორელებმა ანზორ გაპოიანმა (48 კგ), ნუგზარ ნასყიდაშვილმა (57 კგ), გიორგი ხინჩიკაშვილმა (62 კგ), ხვიჩა საბაშვილმა (74 კგ,) დაისაკუთრეს. ასევე პირველი ადგილები დაიკავეს თბილისელებმა ფრიდონ ტაბატაძემ (90 კგ), თამაზ კურკუმელმა და გიორგი ჯანელიძემ (+100).

შეჯიბრების მთავარი პრიზი ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, 18 წლის გიორგი ხინჩიკაშვილს გადაეცა, რომელმაც ექვსი შეხვედრიდან ყველა წმინდად მოიგო.

იური ბალდაძე,
სპორტის ოსტატი.

# დღესასწაულს მიეძღვნა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის თაოსნობით (კათედრის გამგე, დოცენტი გიზო დოლიძე, სპორტკლუბის თავმჯდომარე გოგი გოლაშვილი) ინსტიტუტში ჩატარდა ამიერკავკასიის სამედიცინო ინსტიტუტების პირველობა ჭადრაკში (მთავარი მსაჯი დოცენტი რევაზ სიგუა).

ტურნირში, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს მიეძღვნა, მონაწილეობდნენ თბილისის (ორი), სომხეთისა და აზერბაიჯანის სამედიცინო ინსტიტუტების გუნდები. თითოეულ გუნდში სამი ჭაბუკი და ერთი გოგონა იყო.

9,5 ქულით ყველას აჯობა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პირველმა გუნდმა (დავით ლობჟანიძე, ირაკლი ჩაჩუა, დავით წერეთელი, თამარ იაშვილი).

5,5 ქულით II ადგილზე გავიდა მასპინძელთა მეორე გუნდი, მესამე იყო აზერბაიჯანელთა კოლექტივი (5 ქულა).

თავიანთ დაფებზე თავი გამოიჩინეს: არმენ ცატურიანმა (სომხეთი, I დაფა) — 2,5 ქულა, ირაკლი ჩაჩუამ (II დაფა) — 3, ნანა სიჭინავამ (III დაფა) — 2,5, თამარ იაშვილმა (IV დაფა) — 2,5.

ვასილ ვაშაკიძე.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

### „პირობები არის, ახლა მთავარია საქმე“

29 ოქტომბრის „ლელოში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ („პირობები არის, ახლა მთავარია საქმე“), რომელშიც საუბარი იყო თბილისის სპორტკომიტეტთან არსებულ ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სპეციალიზებული სპორტული სკოლის ჯგუფებისათვის ბავშვების შერჩევაზე.

ინტერვიუს პასუხად გაცნობებთ, რომ საირმის ქუჩაზე მდებარე თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ცურვის სპორტსკოლა საქართველოს განათლების სამინისტროს ბრძანებით, 1985 წლის სექტემბრიდან წყალბურთის სპორტსკოლად გადაკეთდა. ამ პერიოდში თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ცურვის ნაკრებ გუნდებს წვრთნიდნენ კ. რეშეტნიაკი, მ. თურქია, ნ. ჭუმბაძე და ა. ხეხტოიანი, რომლებიც შემდეგ საქართველოს ნაკრებ გუნდებთან სამუშაოდ უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლაში გადაიყვანეს.

1 მაისისა და კიროვის რაიონების სასკოლათაშორისო საცურაო აუზები 1986 წლის სექტემბრიდან ამავე რაიონების ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სპორტსკოლებად გადააკეთეს.

ქალაქის სპორტკომიტეტთან ახლადშექმნილი ცურვის სპორტსკოლისათვის ბავშვების შესარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა უნდა მიეღოთ 1974-75 წლებში დაბადებულ I თანრიგოსან გოგონებს და II თანრიგოსან ბიჭებს. ცხადია, სპორტსკოლებად ახლად გადაკეთებული აუზები ერთი წლის განმავლობაში I და II თანრიგოსან მოსწავლე სპორტსმენებს ვერ მოამზადებდნენ. ამიტომ, თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ და ცურვის სარაიონო სპორტსკოლებმა აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა ვერ მიიღეს.

რაც შეეხება „განთიადსა“ და 1 მაისის რაიონის ცურვის სპორტული სკოლების თანამშრომლობას, საქართველოს სპორტსახკომისა და განათლების სამინისტროს დადგენილებით მათი კოოპერირების წესით მუშაობაზე ხელშეკრულება გაფორმდა, ხოლო კიროვის რაიონის სპორტსკოლა ამავე დადგენილებით „ბურევესტნიკის“ სპორტსკოლასთან მუშაობს.

ვ. ჩიტაიშვილი,
თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე.

## ტელეტაიპი - მკითხველს

ჟენევა. აქ მოეწყო ევროპის ხელბურთელთა საკლუბო ტურნირების მონაწილეთა წილისყრა, რომელმაც მეოთხედფინალური წყვილები გამოავლინა. ჩემპიონთა შეჯიბრებაში ცსკა ისლანდიის „ვიკინგურს“ შეხვდება, თასების მფლობელთა შეჯიბრებაში მინსკის არმიელები ნორვეგიის „ურედთან“ ითამაშებენ, ფედერაციის თასის გათამაშებაში კი კაუნასის „გრანიტასის“ მეტოქე საფრანგეთის კლუბი „უსანი“ იქნება.

ხეული. ფრენბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში სსრ კავშირის ნაკრებმა ბულგარეთის გუნდი დაამარცხა (3:2), აშშ-მ კი ჰოლანდიელი ფრენბურთელები — 3:1. ფინალში ერთმანეთს კვლავ ძველი სპორტული მეტოქეები შეხვდებიან — საბჭოთა კავშირი და აშშ.

### საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში

# ა. პეევის პირველი მემორიალი

ოქტომბერში ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჩატარდა მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი — გამოჩენილი ანტიფაშისტის, ექიმ ალექსანდრე პეევის პირველი მემორიალი.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ შვიდი ქვეყნის (სსრ კავშირი, პოლონეთი, გდრ, იუგოსლავია, უნგრეთი, თურქეთი და ლიბანი) წარმომადგენლები (სულ 284 მოჭადრაკე). მასპინძელთა ღირსებას იცავდნენ წამყვანი მოჭადრაკეები, ეროვნული ნაკრების ლიდერის კირილ გეორგიევის მეთაურობით, რომლის ინდივიდუალური კოეფიციენტი — 2605 — ექსტრაკლასის დიდოსტატის კოეფიციენტის ტოლფასია. ასპარეზობაში I-V ადგილი გაიყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა გია გიორგაძემ. გია შეჯიბრებიდან დაბრუნების შემდეგ რედაქციაში გვეწვია:

—სოფიაში ჩასვლა დამიგვიანდა და ამიტომ პირველ დღეს სწრაფად დავჭერდი ყაიმს. შემდეგ ზედიზედ ოთხი პარტია მოვიგე და ლიდერთა შორის მოვხვდი. ტურნირი „მოკლე დისტანციის“ (9 ტური) გამო ძალიან დაძაბულად წარიმართა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მძიმე მაინც ბოლო ტური გამოდგა. სამ მოჭადრაკეს — საერთაშორისო ოსტატებს კრუმ გეორგიევს, სემკო სემკოვს (ორივე — ბულგარეთი) — მე 7-7 ქულა გვქონდა, ნახევარი ქულით ჩამოგვრჩებოდა კირილ გეორგიევი, ვისთანაც ბოლო ტურში შავებით მომიწია თამაში.

ორგანიზატორებმა ბოლო ტური რატომღაც დილის 8 საათზე დაიწყეს, ჩვენი პარტია ყველაზე დიხანს — 8 საათს გაგრძელდა და საზეიმო ცერემონიის დაწყების წინ დამთავრდა. მე და გეორგიევი ყაიმზე შევთანხმდით და საბოლოოდ ა. გეორგიევთან, ს. სემკოვთან, ა. დელჩევთან და ი. გრიგოროვთან ერთად 7,5-7,5 ქულით I-V ადგილები გავიყავი.

7 ქულა ათმა მოჭადრაკემ მოაგროვა, რომელთა შორის საუკეთესო კოეფიციენტი კირილ გეორგიევს ჰქონდა და ამიტომ მას VI ადგილი მიეკუთვნა.

თავის შესაძლებლობებთან შედარებით სუსტად გამოვიდა მოსკოველი საერთაშორისო ოსტატი მიხეილ ცეიტლინი, რომელმაც 6,5 ქულა მოაგროვა, ტურნირში მონაწილეობდა თბილისელი ოსტატი როლანდ იაკობაშვილიც.

გია გიორგაძე,
სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

**„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:0 (0:0).**

**მოსკოვი. „ოლიმპიურის“ სპორტკომპლექსი. 10 ნოემბერი.**

**„სპარტაკი“: დასაევი, სუროვი, სუსლოპაროვი, ხიდიატულინი, ბოკი, მოსტოვოი, ე. კუზნეცოვი, პასულკო, შმაროვი (ნოვიკოვი, 58), ჩერენკოვი, როდიონოვი.**

**„გურია“: ქანთარია, მიქაბერიძე, რომანჩუკი, თევზაძე, ვარნავსკი, ხლუსი, მახარაძე, ტყებუჩავა, ჯიშკარიანი, ბონდარუკი (გოგიჩაიშვილი, 74), აკოფიანი.**

**მსაჯი ვ. ლისენკო (ოდესა).**

**გააფრთხილეს აკოფიანი.**

**დუბლიორები — 8:0.**

**სსრ კავშირის** 50-ე საიუბილეო საფეხბურთო ჩემპიონატის ამ მატჩის სანახავად მოსკოვის „ოლიმპიურის“ დახურულ სპორტკომპლექსში 40 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ლიდერისა და აუტსაიდერის შეხვედრები, ჩვეულებრივ, ასეთ ინტერესს არ იწვევს, მაგრამ მოსკოველი გულშემატკივარი მთელი სეზონია „სპარტაკის“ წარმატებას უცდის, ეს გუნდი თავიდანვე ლიდერობს, ამიტომაც ხალხმრავალ აუდიტორიას სურდა ენახა თუ როგორ გაინაღდებდა საბოლოოდ „სპარტაკი“ ჩემპიონობას.

ეს ასეც მოხდა. „სპარტაკმა“ გაიმარჯვა და კლუბის არსებობის ისტორიაში მეთერთმეტედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება.

სპარტაკელებმა ეს წარმატება სავსებით ღირსეულად დაიმსახურეს, სხვებთან ერთად ამ გუნდს ჩვენც ვულოცავთ ჩემპიონობას, მაგრამ ისიც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ „გურია“, რომელიც გაისად საკავშირო სარბიელზე ერთი საფეხურით დაბლა იასპარეზებს, ამ მატჩში კვლავ ღირსეულად წარსდგა ძლიერი მეტოქის წინაშე და ის ერთადერთი გოლიც, რომელიც მოსკოველმა ჩერენკოვმა გაიტანა, ფიქსირებული იქნა მატჩის 84-ე წუთზე. სტუმრებს კიდევ ცოტა რომ გაეძლოთ, სპარტაკელები ქულას ვერ აიღებდნენ, ვინაიდან ფრეთა ლიმიტი მათ ამოწურული აქვთ.

ისე კი, მატჩი მასპინძელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა, საუკეთესოდ ითამაშეს „გურიის“ მცველებმა და განსაკუთრებით მეკარე ქანთარიამ, რომელსაც მეტად ძნელი ბურთების აღება მოუხდა.

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის წოდება მოსკოვს დაუბრუნდა მხოლოდ 8 წლის შესვენების შემდეგ. ეს წოდება 1979 წელს ეპყრა იმავე „სპარტაკს“, მერე კი ჩემპიონები იყვნენ კიეველები, ლენინგრადელები, დნეპროპეტროვსკელები, მინსკელები...

### დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების შეხვედრა თბილისისა და კიევის დინამოელთა კოლექტივებს შორის.

თამაში დამთავრდა ფრედ 1:1.

თბილისელთაგან ბურთი გაიტანა არზიანმა.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა: ჰანტურია, შალამბერიძე, თეთრაძე, ჩხაიძე, არზიანი, ფირცხალავა, კორღალიძე, წიკლაური (კალატოზიშვილი), ჯიშკარიანი, აჯოევი, თედეევი.

### გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი** — **მდგომარეობა 12 ნოემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 29 | 16 | 10 | 3 | 48-25 | 42 | (—16) |
| 2. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 29 | 15 | 8 | 6 | 40-20 | 38 | (—20) |
| 3. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 30 | 14 | 8 | 8 | 43-29 | 36 | (—24) |
| 4. „დინამო“ (მინსკი) | 29 | 12 | 8 | 9 | 31-28 | 32 | (—26) |
| 5. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 29 | 11 | 12 | 6 | 32-24 | 32 | (—26) |
| 6. „შახტიორი“ (დონეცკი) | 30 | 10 | 10 | 10 | 29-31 | 30 | (—30) |
| 7. „არარატი“ (ერევანი) | 29 | 13 | 3 | 13 | 31-42 | 29 | (—29) |
| 8. „დინამო“ (კიევი) | 28 | 9 | 10 | 9 | 33-25 | 28 | (—28) |
| 9. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 29 | 10 | 7 | 12 | 23-30 | 27 | (—31) |
| 10. „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 29 | 10 | 6 | 13 | 27-36 | 26 | (—32) |
| 11. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 29 | 8 | 10 | 11 | 31-30 | 26 | (—32) |
| 12. „დინამო“ (მოსკოვი) | 29 | 8 | 11 | 10 | 25-29 | 26 | (—32) |
| 13. „დინამო“ (თბილისი) | 28 | 9 | 6 | 13 | 29-37 | 24 | (—32) |
| 14. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 29 | 7 | 10 | 12 | 24-35 | 24 | (—34) |
| 15. ცსკა | 29 | 6 | 11 | 12 | 24-35 | 22 | (—36) |
| 16. „გურია“ (ლანჩხუთი) | 29 | 5 | 8 | 16 | 17-36 | 18 | (—40) |

## რევაზ ჩელებაძე: „ფეხბურთს ძალით ვერ შეიყვარებ“

**, იგი** მეტეორივით არ შემოჭრილა ქართული ფეხბურთის კაბადონზე. პირიქით, დინამოელთა რიგებში მისი გამოჩენა, — წერდა ამას წინათ ჟურნალისტი ა. ლვოვი, — ბალეტის სოლისტთა ანსამბლში თვითმოქმედი კოლექტივის წევრის მოსვლას უფრო ჰგავდა. ტექნიკური მოთამაშეების გვერდით ახალბედა, რომელიც გამომგონებლობითა და არტისტიზმით აშკარად ჩამოუვარდებოდა სხვებს, მოუქნელიც ჩანდა. მაგრამ სულ მალე ცხადი გახდა, რომ ეს „ჩელეს“, გულშემატკივრებმა ასე მონათლეს, სულაც არ უშლიდა ხელს ეკეთებინა ფორვარდის უმთავრესი საქმე — გაეტანა გოლები. გაეტანა, მიუხედავად ტრავმებისა და განწყობილებისა, გააფთრებულ „მეურვეებთან ბრძოლაში...“

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს (სამგზის) პრიზიორი, საკავშირო თასის ორგზის მფლობელი, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლისა და მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი. ასეთია რევაზ ჩელებაძის საბრძოლო ნუსხა.

იგი უნიკალური ფეხბურთელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ 17 წლამდე მწვანე მინდორს არ გაჰკარებია, რადგან სკოლის კალათბურთელთა გუნდის ცენტრალურ თავდამსხმელს ფეხბურთი რატომღაც არ იზიდავდა და ამ თამაშს მხოლოდ ბიძის სურვილით ეზიარა. მის ბიძას ძალიან უნდოდა, რომ ძმისწული ფეხბურთელი ყოფილიყო, ამიტომაც ჭაბუკი კვირიკელთა მწვრთნელს მიჰგვარა და სთხოვა — ერთი, ეს ბიჭი გასინჯე, იქნებ გამოგადგესო.

დებიუტი ბრწყინვალე გამოდგა. კვირიკელთა გუნდმა მეტოქის კარში თერთმეტი ბურთი გაიტანა, რომელთაგან შვიდი ახალბედას ეკუთვნოდა. ეს უკვე თამასუქი გახლდათ, რომ იგი უყოყმანოდ ჩაერიცხათ „ბ“ კლასის გათამაშების მონაწილე ქობულეთის „შუქურაში“. მაგრამ მის დანახვაზე მწვრთნელი დ. ჰავჰანიძე დიდად არ აღფრთოვანებულა. „კარგი, იარე“, — სხვათა შორის უთხრა მან ახალგაზრდას... ძნელია ასეთი წინასწარი განწყობილება შეაცვლევინო კაცს. და ჩელებაძემაც ვერა და ვერ მიიპყრო მწვრთნელის ყურადღება, თუმცა გულმოდგინედ ვარჯიშობდა და არც მეცადინეობა გაუცდენია...

სულ სხვაგვარად შეტრიალდა საქმე, როცა სხვა მწვრთნელმა ვ. ჩხარტიშვილმა იწამა მისი და უთხრა კიდეც, შენგან ფეხბურთელი დადგებაო.

—მეც ეს მინდოდა,—იგონებს რევაზ ჩელებაძე, — მზის ამოსვლისთანავე ტურბაზის ეზოს ღობეს გადავევლებოდი და პატარა მოედანზე ჩემი ხელითვე დამზადებულ ფარს სხვადასხვა მანძილიდან ვურტყამდი ბურთს, ვკენწლავდი, დავხტოდი, თავით ვწვდებოდი ევკალიპტის მაღალ ტოტს... როცა თბილისის „დინამოში“ აღმოვჩნდი, უცნაურად მეჩვენებოდა მწვრთნელთა საყვედური ზოგიერთი ახალგაზრდა ფეხბურთელის მიმართ: წვრთნის დროს მეტი გულისყური და აქტიურობაა საჭიროო. განა შეიძლება ფეხბურთის სიყვარულზე ძალით დაყაბულება?

დიახ, როგორც ამბობენ, ბევრი სიმწრის ოფლი ღვარა ჩელებაძემ თბილისის „დინამოში“ რომ დამკვიდრებულიყო. მან კარგად იცოდა, რომ ახალგაზრდისათვის რესპუბლიკის პირველ გუნდში გამოსვლა დიდი პატივია და იმედს გამართლება უნდა. აკი გაამართლა კიდეცაბა, გაიხსენეთ, როგორი ცეცხლი შეჰქონდა მას თამაშში, როცა თავისი საყვარელი გუნდის გამოსვლით გაწბილებული მრავალათასიანი ტრიბუნები ერთხმად ითხოვდნენ.

— ჩე-ლე, ჩე-ლე! — და მინდორზე მის გამოჩენას ხშირად მოჰყვებოდა ხოლმე სანუკვარი გოლი. და ვინ იცის, რამდენჯერ მოულინებულა იგი „დინამოს“ მხსნელად, რამდენი წაგებული თამაში გადარჩენილა მისი თავდაუზოგავი თამაშის შედეგად.

მისი რეგალიებისა და მაღალი ტიტულების შესახებ უკვე ითქვა, იმასღა დავუმატებთ, რომ რევაზ ჩელებაძის დებიუტი თბილისის „დინამოში“ 1976 წლის 4 აპრილს



შედგა მოსკოვის ცსკა-სთან მატჩში. მისი გამოსვლა რესპუბლიკის უპირველეს გუნდში ორ პერიოდს მოიცავს. 1982 წლის 4 ივნისამდე მონაწილეობა მიიღო 123 შეხვედრაში და 42 გოლი გაიტანა. 1986 წელს კვლავ დაუბრუნდა დინამოელთა რიგებს და ათჯერ აიღო მეტოქის კარი. სულ „დინამოს“ სახელით 158-ჯერ გამოვიდა მინდორზე და 52 ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში. 1976 წლის 1 ივნისს კი თბილისის „დინამომ“ ანგარიშით 3:0 დაამარცხა ვოროშილოვგრადის „ზარია“ და სამივე ბურთი („ჰეთ-თრიკი“) რევაზ ჩელებაძეს ეკუთვნოდა.

დღეს დიდი ფეხბურთიდან ვაცილებთ ამ თვითმყოფად ფორვარდს, რომლის თავდადებული თამაშიც მუდამ ემახსოვრება მადლიერ გულშემატკივარს.

**უშანგ ჭიჭინაძე.**

## ჟამი ფიქრისა, ჟამი განსჯისა

# ახლა ვიმკით იმას, რაც დავთესეთ

**ასეთი** წარუმატებელი საფეხბურთო წელიწადი საქართველოში, ვფიქრობ, ჯერ არა გვქონია. მთელი სეზონის მანძილზე გათამაშების ცხრილის ბოლოში იმყოფებოდა თბილისის „დინამოს“ სანაქებო გუნდი, რომელმაც მხოლოდ დიდი გაჭირვებით დააღწია თავი პირველ ლიგაში ჩამოქვეითებას, ასეთივე დღეში იყო ლანჩხუთის „გურია“, მისი ხსნა საბოლოოდ შეუძლებელი შეიქნა და ლანჩხუთელთა უმაღლეს ლიგაში დაბრუნება ახლა ფრიად და ფრიად საეჭვო ამბად გვესახება.

რაც შეეხება ქუთაისის „ტორპედოს“, ფეხბურთის მოყვარულებს სამარცხვინოდ მიგვაჩნია, რომ გუნდი, რომელიც ოდესღაც უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა, გუნდი, რომლის შემადგენლობაში არაერთი პირველხარისხოვანი ფეხბურთელი აღზრდილა, სწორედ ჩვენი მიუხედაობის, უკონტროლობისა და უთავბოლობის გამო, სადღაც II ლიგაში აღმოჩნდა.

ყველას დიდად გვაწუხებს საქართველოს ამ სამი საუკეთესო გუნდის ასეთი აშკარა ჩავარდნა და ყველაფერი ეს, უპირველეს ყოვლისა, რთულ ორგანიზაციულ საკითხებში ჩვენი გაურკვევლობისა და გაუმართლებელი შეცდომების პირდაპირი შედეგია.

ჩვენ, ფეხბურთის რიგით მოყვარულებს, მიგვაჩნია, რომ შეცდომები იქნა დაშვებული საქართველოს წამყვანი გუნდებისთვის მწვრთნელთა დანიშვნაში, გუნდიდან გუნდში ფეხბურთელთა გაუმართლებელ გადაყვანაში.

ნება მოგვეცით ჩვენი მოსაზრებანი გამოვთქვათ. 1985 წლის საფეხბურთო სეზონის დროს ქუთაისის „ტორპედოში“, როგორც იქნა, ჩამოყალიბდა სტაბილური შემადგენლობა, შემდგომ წელს კი ამ გუნდიდან თბილისის „დინამოში“ გადაიყვანეს დ. კუდინოვი და გ. ჯოხაძე, რომლებსაც დინამოელთათვის იმდენი სარგებლობა არ მოუტანიათ, რამდენი ვნებაც „ტორპედოს“ მიადგა. ქუთაისელთა გუნდის „დარბევა“ შემდგომშიც არ შემწყდარა, ზოგი თბილისის „დინამოში“ გადაიყვანეს, ზოგიც „გურიაში“, ახლა კი მივტირით ქუთაისელთა შესანიშნავ კოლექტივს, სადაც კარგი ფეხბურთელები იზრდებოდნენ.

ლანჩხუთის „გურია“ თავისი უმაგალითო თავდადებისა და მონდომების წყალობით 1986 წელს უმაღლეს ლიგაში გადავიდა. ამ გუნდის ბევრი მაშინდელი მოთამაშე შემდეგ ან სათადარიგო სკამზე დასვეს, ან სულაც დაითხოვეს კოლექტივიდან და ისეთები მიიწვიეს, რომლებიც არც პატრიოტობით გამოირჩეოდნენ, არც თავგანწირვით, ამიტომაც დიდი შემწეობა არ გაუწევიათ „გურიისთვის“.

ფეხბურთელთა გუნდიდან გუნდში გადაყვანა, რა თქმა უნდა, საჭიროა, უამისოდ მაღალი კვალიფიკაციის კოლექტივს ვერ შექმნი, მაგრამ გაუმართლებელი, ნაჩქარევი გადაყვანა კი აშკარად ვნებს საქმეს.

ფეხბურთის მოყვარულებს გვახსოვს, რომ თბილისის „დინამოს“ მოთამაშეთა ერთმა ჯგუფმა შარშან რაღაც შეთქმულება მოაწყო მწვრთნელის წინააღმდეგ. ეს მოთამაშეები თითქოს დასაჯეს, მაგრამ რამდენიმე მათგანი მაინც დატოვეს უმაღლეს ლიგაში, ეს კი, ჩვენი აზრით, ცუდი პრეცედენტია. ცხადია, „შეთქმულება“ საკმაო ხნის წინ მზადდებოდა, მისი აღკვეთა კი საჭირო იყო თავიდანვე, ჩანასახში. მაღალი კატეგორიის საფეხბურთო კოლექტივებში დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღ მორალურ-იდეოლოგიურ კლიმატს, მაგრამ, როცა გუნდში ამგვარი ხასიათის კონფლიქტები ხდება, ლაპარაკიც არ შეიძლება რამდენადმე მაინც ჯანმრთელ მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატზე.

ყველაფერი ეს ჩვენი ხელმძღვანელი საფეხბურთო ორგანოების ნეგატიური საქმიანობის პირდაპირი ნაყოფია, ახლა ვიმკით იმას, რაც დავთესეთ.

ნათქვამია, სხვა სხვის ომში ბრძენიაო, მაგრამ ჩვენთვის, მრავალრიცხოვანი გულშემატკივრისთვის, ბევრი რამ სწორედ ასე ჩანს ტრიბუნებიდან.

ჩვენს ფეხბურთს აუცილებლად ესაჭიროება გონივრული ორგანიზაციული საფუძველი, გუნდებში უნდა შეიქმნას საღი ფსიქოლოგიური კლიმატი. ბევრი რამ დავკარგეთ, ბევრსაც ვერ მოვაბით თავი, მაგრამ წარსულის მაგალითზე ახლა მაინც სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, მომავალი სეზონისთვის მზადება უნდა დავიწყოთ ახლავე, გასაკეთებელი, მოსაგვარებელი კი ძალზე ბევრი გვაქვს.

**ოთარ ისააკაძე,**
**ამბროლაური, სოფ. კრიხი.**

## საქართველოს პირველობა

**6 და 8 ნოემბერს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-40 და 41-ე ტურების მატჩები.**

**I ჯგუფი**

**„არმაზი“ (მცხეთა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 6:4. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: ზუკაკიშვილი, ხუცურაული, გამყრელიძე, იორამაშვილი, სოლოღაშვილი-2 („არმაზი“), სიუკაევი, დადუნაშვილი, ლაბაძე-2 („მეტალურგი“).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლები: გ. ფანჩულიძე-2 („საპოვნელა“).

**„სულორი“ (ვანი) — „დინამო“ (გაგრა) 5:1. მსაჯი ზ. ჰინჰარაძე (მახარაძე).** გოლები: ვერულაშვილი, პაიკიძე-2, ორმოცაძე-2 („სულორი“), მინდაძე („დინამო“).

დროის განზრახ გაყვანისთვის გააფრთხილეს ვანელი ზ. ბელთაძე.

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 4:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: შეროზია, თუთბერიძე, ქომეთიანი-2 („დინამო“).

**„ივერია“ (ხაშური) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: ლამბაშიძე, მაღრაძე („ივერია“).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:3. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).** გოლები: ტალახაძე, მინდიაშვილი, ქოქიაშვილი („დურუჯი“), ბაკურაძე, შიოლაშვილი, ე. გვასალია („კოლხეთი“).

**„მადნეული“ (ბოლნისი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 3:2. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი).** გოლები: უგულავა, ჯაგოვი-2 („მადნეული“), ჰუმბურიძე, აბჟანდაძე („იმერეთი“).

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) 2:0. მსაჯი ს. შალამბერიძე (თბილისი).** გოლები: ჰუბაბრია, ხელაია („სალხინო“).

**„სქური“ (წალენჯიხა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 3:1. მსაჯი გ. ცქიტიშვილი (ქუთაისი).** გოლები: ნიკოლაიშვილი, აფხაზავა, მატუა („სქური“), ქავთარაძე („სამეგრელო“).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 6:1. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: წითელაშვილი, ლაბაძე, სიუკაევი-2, კიკნაძე-2 („მეტალურგი“), ბაქრაძე (ფიზკ. ინსტიტუტი).

ბურთის განზრახ ხელით დაჭერისთვის გააფრთხილეს თბილისელი ვ. თურმანიძე.

**„არმაზი“ (მცხეთა) — „დინამო“ (გაგრა) 2:0. მსაჯი ვ. ალიევი (თბილისი).** გოლები: ხუცურაული, იორამაშვილი („არმაზი“).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:2. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი).** გოლები: ფანჩულიძე-3 („საპოვნელა“), ჩიქობავა-2 („ეგრისი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ცხაკაიელი გ. ხვიჩია, ხოლო მოედნიდან გაძევებულ იქნა თანაგუნდელი ბ. წულაია — საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის.

იხ. მე-4 გვ.

## შეიქმნა თბილისის „დინამოს“ ქომაგთა კლუბი

# აბა, თქვენ იცით, გულშემატკივრებო!

აქ ყველაფერი ისე იყო, როგორც ნამდვილ თავყრილობაზე. ან კი რატომ არ უნდა ყოფილიყო, როცა ტარდებოდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის გულშემატკივართა კლუბის დამფუძნებელი კრება, ყველა დემოკრატიული პრინციპისა და უფლების დაცვით.

ჯერ, როგორც წესი და რიგია, კრებაზე მოსულმა 200-ზე მეტმა გულშემატკივარმა საქმიანი პრეზიდიუმი აირჩია, რომელშიც შევიდნენ: „დინამოს“ სპორტკომბინატის დირექტორი ვ. ქლენტი, წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ბ. პაიჭაძე და გ. გაგუა, ჩვენი ქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები გ. ქავთარაძე, ვ. ხუნდაძე, რ. შოთაძე, გ. ვასაძე (ეს უკანასკნელი ფეხბურთის გულშემატკივართა ყველაზე აქტიურ ჯგუფს — მოსწავლე-ახალგაზრდობას წარმოადგენდა).

დღის წესრიგში იდგა ერთადერთი, უკვე კარგა ხანს მომწიფებული და გადასაწყვეტი საკითხი — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის გულშემატკივართა კლუბის შექმნა, რომლის შესახებაც მოკლე ინფორმაცია გააკეთა სპორტკომბინატის დირექტორმა ვ. ქლენტმა.

ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბს, რომელსაც მწყობრი სტრუქტურა და დებულება უნდა ჰქონდეს, მართლაც დიდი და სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იგი, ჯერ ერთი, ხელს შეუწყობს სტადიონზე წესრიგის დამყარებას, და მეორეც, მოაწესრიგებს კონტაქტს ფეხბურთელთა და გულშემატკივართა შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთის მოყვარულები ხშირად და ორგანიზებულად შეხვდებიან გუნდს, იქნება აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა, გულშემატკივარი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს თავისი საყვარელი კლუბის ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში.

ამას, ცხადია, დასჭირდება ბაზა, მოფიქრებული ორგანიზაციული სტრუქტურა, რაშიც კლუბს დახმარებას „დინამოს“ სტადიონის ადმინისტრაცია გაუწევს. გამოიყოფა სპეციალური სამუშაო ოთახი, გამოვა საინფორმაციო ბიულეტენები, ერთი სიტყვით, კლუბის საქმიანობას ორგანიზაციულად სრულყოფილი სახე მიეცემა.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა ოცამდე გულშემატკივარი. ისინი უმთავრესად მუშა, მოსწავლე, სტუდენტი ახალგაზრდობის, სხვადასხვა უწყების, სამეცნიერო დაწესებულების სახელით ლაპარაკობდნენ. კლუბის შექმნის იდეა ყველამ ერთხმად მოიწონა და კრებას აღუთქვა, რომ მის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ.

შემდეგ აირჩიეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის გულშემატკივართა კლუბის თავმჯდომარე და სამუშაო ჯგუფი. თავმჯდომარედ დაასახელეს ფეხბურთის ძველი გულშემატკივარი, პროფესიით ინჟინერი გურამ ქავთარაძე.

აქვე გადაწყდა, რომ 13 ნოემბერს 7 საათზე გაიმართება კლუბის წევრთა მორიგი კრება.

## საქართველოს პირველობა

### დასასრული

**„კახეთი“ (თელავი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:2. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი).** გოლები: ლატარია, ქომეთიანი („კოლხეთი“), ჯამიაშვილი („კახეთი“).

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) 3:1. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლები: შეროზია, თუთბერიძე, როგავა („დინამო“), თურმანიძე („იმედი“-„დინამო“-2).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ზუგდიდელი ფეხბურთელები გ. ჩიჩუა და ვ. თუთბერიძე, ასევე მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს თბილისელი გ. ავსაჯანიშვილი.

**„ივერია“ (ხაშური) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0. მსაჯი ზ. დარჩია (თბილისი).** გოლი: ოსაძე („ივერია“).

**ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:4. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).** გოლები: ჭუბაბრია, რუსია, ლაგვილავა-2 („სალხინო“), პაქსაშვილი-2 (ახალგ. საფეხბ. სკოლა).

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლი: ქვილითაია („სამეგრელო“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ჩხოროწყუელი ზ. კვირკველია.

**„მადნეული“ (ბოლნისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0. მსაჯი ვ. კალანდია (ზუგდიდი).** გოლი: მუმკუდიანი („მადნეული“).

**„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:3. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: გაგნიძე, მარლიაშვილი, ნოზაძე, ახალკაცი („ქართლი“), მატუა, კვირტია-2 („სქური“).

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 5:2. მსაჯი ო. დოლონაძე (თერჯოლა).**

**„სულორი“ (ვანი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 4:1. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).** გოლები: ორმოცაძე, დვალიშვილი, ელიაშვილი, კანკაძე („სულორი“), თ. გუჩუა („ამირანი“).

მინდვრიდან გააძევეს ოჩამჩირელი ფეხბურთელი თ. შამუგია.

### გამოტოვებული მატჩები

**„მადნეული“ (ბოლნისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლი: უგულავა („მადნეული“).

**„არმაზი“ (მცხეთა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 3:0. მსაჯი ზ. დარჩია (თბილისი).** გოლები: გამყრელიძე, სოლოღაშვილი, იორამაშვილი („არმაზი“).

**„კახეთი“ (თელავი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:1. მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი).** გოლები: რაზმაძე, ჯამიაშვილი („კახეთი“), გაბისკირია („ეგრისი“).

ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს ცხაკაიელი ფეხბურთელი გ. ბერულავა.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ნოემბრისთვის

I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შადრევანი“ | 41 | 27 | 7 | 7 | 76-37 | 61 |
| „მერცხალი“ | 40 | 25 | 11 | 4 | 60-27 | 61 |
| „კოლხეთი“ | 40 | 25 | 10 | 5 | 80-35 | 60 |
| „სამეგრ.“ | 41 | 20 | 11 | 10 | 64-40 | 51 |
| „სულორი“ | 40 | 19 | 10 | 11 | 62-45 | 48 |
| „სქური“ | 40 | 20 | 6 | 14 | 77-58 | 46 |
| „დინ.“ ზ. | 41 | 17 | 9 | 15 | 66-55 | 43 |
| „ამირანი“ | 41 | 16 | 10 | 15 | 50-53 | 42 |
| „მეტალურ.“ | 41 | 18 | 5 | 18 | 69-60 | 41 |
| „მადნ.“ | 41 | 15 | 10 | 16 | 67-55 | 40 |
| „ივერია“ | 41 | 15 | 9 | 17 | 55-53 | 39 |
| „არმაზი“ | 40 | 14 | 11 | 15 | 57-62 | 39 |
| „დინ.“ გ. | 41 | 13 | 13 | 15 | 48-61 | 39 |
| „საპოვნ.“ | 41 | 14 | 10 | 17 | 53-65 | 38 |
| „სალხინო“ | 41 | 13 | 12 | 16 | 56-70 | 38 |
| „სპარტაკი“ | 40 | 13 | 11 | 16 | 68-68 | 37 |
| „ქართლი“ | 39 | 15 | 6 | 18 | 57-57 | 36 |
| „იმ.“-„დ.“-2 | 37 | 14 | 7 | 16 | 63-64 | 35 |
| „ეგრისი“ | 40 | 13 | 9 | 18 | 61-67 | 35 |
| ფიზკ. ინსტ. | 39 | 13 | 9 | 17 | 51-59 | 35 |
| „დურუჯი“ | 41 | 11 | 13 | 17 | 44-54 | 35 |
| „კახეთი“ | 41 | 13 | 7 | 21 | 64-75 | 33 |
| „იმერეთი“ | 40 | 12 | 6 | 22 | 57-87 | 30 |
| ახ. საფ. სკ. | 41 | 3 | 0 | 38 | 31-129 | 6 |

## ფეხბურთი ⚽ ფეხბურთი

# უცხოეთის საფეხბურთო მინდვრებზე

**ბუენოს-აირესი.** ევროპის ქვეყნების საკლუბო ტურნირების დარად სამხრეთ ამერიკაში იმართება ჩემპიონთა ტურნირი. სამხრეთ ამერიკის უძლიერესი გუნდის ტიტული მოიპოვა ურუგვაის „პენიაროლმა“, რომელმაც ე. წ. ლიბერტადორესის თასის ფინალში ანგარიშით 1:0 დაამარცხა კოლუმბიის „ამერიკა“. გოლი გაიტანა აკირემ.

საინტერესოა, რომ ეს „პენიაროლის“ მეხუთე წარმატებაა ტურნირში, რომელიც 1960 წლიდან იმართება.

ახლა დღის წესრიგში დგას საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება. ერთი თვის შემდეგ ტოკიოში ერთმანეთს შეხვდებიან პორტუგალიის „პორტო“ და ურუგვაის „პენიაროლი“.

**ჰელსინკი.** შეიცვალა ფინეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი, მარტი კუუსელას ნაცვლად ნაკრებს სათავეში ჩაუდგა 36 წლის იუკ ვაკილა. ფინეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ მ. კუუსელას დიდი წარმატებები ჰქონდა ფინეთის გუნდთან მუშაობის პერიოდში, მაგრამ თვითვე შეიტანა განცხადება ამ პოსტის დატოვების თაობაზე. რაც შეეხება ი. ვაკილას, მან მწვრთნელთა სკოლა დაამთავრა დასავლეთ გერმანიის ქალაქ კიოლნში, შემდეგ კი სათავეში ედგა ფინეთის ოლიმპიურ ნაკრებს და აქაურ „ვალკიაკოსკის“.

**მადრიდი.** ცნობილმა არგენტინელმა ფეხბურთელმა ხორხე ვალდანომ ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო და ამის შედეგად არგენტინის ნაკრებს გამოაკლდა ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი. ხ. ვალდანო 10 წელია ესპანეთში ცხოვრობს და მადრიდის „რეალში“ თამაშობს, ამჟამად იგი ავადაა, მაგრამ, როგორც კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, სულ მალე ჩადგება მწყობრში.

**ლისაბონი.** ცნობილი ალჟირელი ფეხბურთელი მაჯერი ბოლო ხანებში პორტუგალიის „პორტოში“ გამოდიოდა, მაგრამ მან კონტრაქტს მოაწერა ხელი მიუნხენის „ბაიერნთან“ (გფრ) და პორტუგალიის გუნდიც ამ ძლიერი ფეხბურთელის გარეშე დარჩა.



# ბრავო, პიკე!

**„არ მეგონა,** თუ ასე ადვილად გავიმარჯვებდი“ — ამ სიტყვებით დაასრულა თავისი ერთ-ერთი პრესკონფერენცია ახლა უკვე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, ბრაზილიელმა ნელსონ პიკემ.

38-ე მსოფლიო ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა. დარჩა მხოლოდ ერთი ეტაპი, სადაც ავსტრალიის „დიდი პრიზი“ გათამაშდება. რით იყო აღსანიშნავი ეს სეზონი? უპირველეს ყოვლისა, ავტოავარიებით, რომლებიც, საბედნიეროდ, უმსხვერპლოდ დამთავრდა. ერთ-ერთ ასეთ ავარიაში მოჰყვა თვით მსოფლიო ჩემპიონიც და ორი კვირით გამოეთიშა ასპარეზობას. ნაიჯელ მენსელი თითქმის ყველა ეტაპის წინ საკვალიფიკაციო რბოლაში საუკეთესო შედეგს უჩვენებდა და, როგორც წესი, მისი ავტომობილი სტარტზე პირველ რიგში იდგა. აღსანიშნავია, რომ მან მხოლოდ ექვსი „დიდი პრიზის“ გათამაშებაში გამოიყენა ეს უპირატესობა, დანარჩენში კი ბედი არ სწყალობდა. ამასთან, ბოლო, მეთხუთმეტე ეტაპის წინა საწვრთნელ რბოლაში იგი კატასტროფაში მოჰყვა და ექიმებმა საასპარეზოდ აღარ დაუშვეს. ჩემპიონობისათვის აირტონ სენაც იბრძოდა, მაგრამ ახლა იგი ავსტრალიაში შეეცდება მსოფლიოს მეორე ავტომრბოლის სახელი მოიპოვოს. აღსანიშნავია ჩემპიონატის ერთი თავისებური რეკორდიც: ფრანგმა ალენ პროსტმა 28-ე „დიდი პრიზი“ მოიპოვა პორტუგალიაში, ეშტორილის ტრასაზე. მიღწეული გამარჯვებების რაოდენობით მან გაუსწრო სახელგანთქმულ ინგლისელ სპორტსმენს ჯეკი სტიუარტს.

ენცო ფერარის გუნდმა გამოასწორა მდგომარეობა. ჩემპიონატის დასაწყისში, როგორც იცით, „ფერარის“ ავტომრბოლებს, იტალიელ მიქელე ალბორეტოს და ავსტრიელ გერჰარდ ბერგერს არაფერი გამოსდიოდათ, მაგრამ ბოლოს ფირმის ახალი კონსტრუქტორის ჯონ ბარნარდის დახმარებით ორივე მედგარ წინააღმდეგობას უწევდა პირველ ოთხეულს — ბერგერმა ორჯერ აჩვენა საუკეთესო დრო საწვრთნელ რბოლაში. პორტუგალიაში მან მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო იაპონიაში პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

ბელგიელმა ტიერი ბუტსანმა წელს შეძლო ათეულში მოხვედრა და გაისად ალბათ ნელსონ პიკეს გაუწევს პარტნიორობას „ლოტუს ჰონდას“ გუნდში. აქვე უნდა ითქვას, რომ „ვილიამსის“ გუნდში მეორე სპორტსმენის ადგილზე ბრეტენზიას აცხადებენ სტეფან იოჰანსონი, რიკარდო პატრეზე და ედი ჩივერი.

მერმისს მოსალოდნელია ერთი დებიუტი, დასავლეთგერმანულ „ცაკსპიდის“ გუნდში მეორე ნომრად შეიძლება გამოვიდეს უნგრელი ავტომრბოლი — კესიარ ჩაბა.

მას შემდეგ, რაც ფრანგულმა „რენომ“ გაწყვიტა კავშირი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციასთან, „ლიჟიეს“ საქმე თანდათან გაუარესდა. ფირმის ორი ავტომრბოლიდან (რენე არნუ და პიერკარლო გინძანი) მხოლოდ ფრანგმა სპორტსმენმა შეძლო ქულების დაგროვება.

ახლა ცოტა რამ თვით 1987 წლის ჩემპიონის შესახებ.

ნელსონ სუოტო მაიორ პიკე ან, მოკლედ, ნელსონ პიკე, დაიბადა 1952 წელს რიო-დე-ჟანეიროში. იგი იზრდებოდა არისტოკრატიულ ოჯახში. დიპლომატ მამას სურდა შვილიც მის კვალს გაჰყოლოდა, მაგრამ ბავშვობიდანვე ავტომობილით გატაცებულმა პიკემ მრბოლის მეტად საინტერესო და სახიფათო პროფესია აირჩია.

ნელსონ პიკემ თავისი სპორტული კარიერა დაიწყო „ფორმულა-3“-ის ავტომობილებით რბოლაში მონაწილეობით. მალე იგი დიდი ბრიტანეთის ჩემპიონი გახდა, 1978 წლიდან კი „ფორმულა-1“-ის ჩემპიონატებში ასპარეზობს. პირველი „დიდი პრიზი“ პიკემ „ბრებემ ფორდის“ ავტომობილით მოიგო 1980 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში. სულ მან ოცჯერ იზეიმა გამარჯვება.

ბრაზილიელი სპორტსმენი ყველაფერთან ერთად შესანიშნავი ადამიანური თვისებებითაც არის დაჯილდოებული. ერთი მაგალითი: 1982 წელს მან რბოლა შეწყვიტა და სიკვდილს გადაარჩინა კატასტროფაში მოხვედრილი ფრანგი სპორტსმენი დიდიე პირონი.

დავუბრუნდეთ ისევ წლევანდელ ჩემპიონატს. თვალს თუ გადავავლებთ პიკეს მიერ ნაჩვენებ შედეგებს, დავრწმუნდებით, რომ წელს მან საუკეთესოდ იასპარეზა: თხუთმეტი ეტაპიდან თორმეტზე ჩასათვლელი ქულები მიიღო, აქედან შვიდჯერ მეორე ადგილი დაიკავა, სამჯერ — პირველი, თითოჯერ — მესამე და მეოთხე. მეთექვსმეტე ეტაპზე მას დააჯილდოებენ როგორც მსოფლიოს ჩემპიონს და პიკე მაყურებლის როლში დაასრულებს სეზონს.

ახლა გთავაზობთ მეთხუთმეტე ეტაპის სრულ შედეგებს: 1. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი“) — 9; 2. აირტონ სენა (ბრაზილია, „ლოტუს-ჰონდა“) — 6; 3. სტეფან იოჰანსონი (შვეცია „მაკლარენ პორშე“) — 4; 4. მიქელე ალბორეტო (იტალია, „ფერარი“) — 3; 5. ტიერი ბუტსანი (ბელგია, „ბენეტონ ფორდი“) — 2; 6. სატორუ ნაკაჰიმა (იაპონია, „ლოტუს ჰონდა“) — 1;

სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: 1. ნელსონ პიკე (ბრაზილია) — 73 ქულა; 2. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი) — 61 (ორივე — „ვილიამს ჰონდა“); 3. აირტონ სენა (ბრაზილია) — 57; 4. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენ პორშე“) — 46; 5. სტეფან იოჰანსონი (შვეცია) — 30; 6. გერჰარდ ბერგერი — 27; 7-8. ტეო ფაბი (იტალია), ტიერი ბუტსანი (ბელგია) — 12-12 (ორივე — „ბენეტონ ფორდი“); 9. მიქელე ალბორეტო — 11; 10. ედი ჩივერი (აშშ, „ეროუზ ბე-ემ-ვე“) — 8; 11. სატორუ ნაკაჰიმა (იაპონია, „ლოტუს ჰონდა“) — 7.

კონსტრუქტორთა შორის ერთპიროვნული ლიდერია „ვილიამს ჰონდა“. მას 137 ქულა აქვს. „მაკლარენ პორშე“ 76 ქულით მეორე ადგილზეა, „ლოტუს ჰონდას“ 64 ქულა აქვს. „ფერარი“ 38 ქულით მეოთხე ადგილზეა. 5. „ბენეტონ ფორდი“ — 24; 6. „ეროუზ ბე-ემ-ვე“ — 11; 7. „ბრებემ ბე-ემ-ვე“ — 10; 8. „ტაირელ ფორდ კოსვორტი“ — 8; 9. „ლოლა ლარუს-კალმელი“ — 3; 10. „ცაკსპიდი“ — 2 ქულა; 11-12. „მარჩ ფორდ კოსვორტი“, „ლიჟიე ბე-ემ-ვე“ — 1-1 ქულა.

15 ნოემბერს ავსტრალიაში, ადელაიდას ტრასაზე გაიმართება ჩემპიონატის ბოლო, მეთექვსმეტე ეტაპი. თუ ექიმებმა საასპარეზოდ დაუშვეს ნაიჯელ მენსელი, ინგლისელ ავტომრბოლსა და ბრაზილიელ აირტონ სენას შორის საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართება მსოფლიოს მეორე ავტომრბოლის ტიტულის მოსაპოვებლად.

**დავით ჩუბინიძე.**

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 12 ნოემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **19.15 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში — **19.40 (2).**

**13 ნოემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საკალათბურთო მიმოხილვა — **21.15 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 12 ნოემბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი) — **18.00.**

**13 ნოემბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ჭადრაკში — **22.50.**

**საქართველოს რადიო. 12 ნოემბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი). II ტაიმი — **19.00.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მარათი“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66436

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომპლექსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 3 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07221